

Living Arrangements

Georgian transcript:

თუ შეგიძლია მომიყევი შენი ოჯახის წევრებზე.

ოჯახში ვცხოვრობთ მე, მამაჩემი, დედაჩემი, ბებიაჩემი და ბებიაჩემის და. და საქართველოში ეს ძალიან ნორმალურია, რომ რამოდენიმე თაობა ერთად ცხოვრობდეს ერთ სახლში. ადრე ჩემი დაც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა, მარა¹ გათხოვების შემდეგ იგი გადავიდა თავისი ქმრის ოჯახში. და საქართველოში ზოგადად ეგრე ხდება ხოლმე, რომ ქალი რომ გათხოვდება მიდის კაცის ოჯახში და ზოგადად კაცები ცხოვრობენ თავის მშობლებთან ერთად.

შეგიძლია მითხრა თვლი თუ არა სწორად, რომ რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობს ერთი და იგივე სახლში.

რა ვიცი... მე პირადად ვფიქრობ, რომ კულტურაზე და ქვეყანაზე არის დამოკიდებული და საქართველოში ჩემი აზრით ეს იმდენად ნორმალურია, რომ ყველა ძალიან პოზიტიურ ფაქტად აღიქვამს ამას. და ძალიან კარგი არის იმიტომ, რომ ძალიან ადვილად უახლოვდები შენ ბებია-ბაბუას და ყველანი ერთმანეთს ეხმარებით და სიტყვაზე თუ მშობლები მუშაობენ და ბებია-ბაბუა არ მუშაობენ, შეუძლიათ ერთმანეთს დაეხმარონ და ასე შემდეგ. საქართველოში ძირითადად ეგრე არის, რომ გეხმარება ოჯახის წევრი შვილის გაზრდაში თუ მუშაობ და არა ძიძა. ძიძის ის... უფრო ეხლა ნელ-ნელა შემოდის და ხალხს აყავთ ძიძები, მარა ზოგადად უფრო ოჯახის წევრი გეხმარება - ან დედამთილი, მამათილი და ან საკუთარი მშობლები.

English translation:

I: Please tell me about your family members.

R: My mom, dad, grandmother, great-aunt, and I all live together. In Georgia, it's very normal for several generations to live in the same household. Before, my sister also lived with us, but after she got married, she moved in with her husband's family. That's how it usually happens in Georgia – a woman gets married and moves in with the man's family, while men usually live with their parents.

I: Could you tell me if you think it's appropriate that several generations live in the same household?

¹ მარა is often used in colloquial Georgian instead of მაგრამ.

R: I don't know... I personally think that it depends on the culture and on the country, and I think in Georgia, it's so normal that everyone thinks it's a good thing. I guess it's good because it's really easy for you to become close with your grandparents, and everyone helps one another. And if, for example, the parents work and the grandparents don't, they can help each other etc. That's how it usually is in Georgia – if you work, a family member, not a nanny, helps you with the upbringing of your children. [As for] nannies... People have been hiring nannies more and more, but generally, it's more likely that your family members help you – your mother-in-law, father-in-law or your own parents.

About CultureTalk: CultureTalk is produced by the Five College Center for the Study of World Languages and housed on the LangMedia Website. The project provides students of language and culture with samples of people talking about their lives in the languages they use every day. The participants in CultureTalk interviews and discussions are of many different ages and walks of life. They are free to express themselves as they wish. The ideas and opinions presented here are those of the participants. Inclusion in CultureTalk does not represent endorsement of these ideas or opinions by the Five College Center for the Study of World Languages, Five Colleges, Incorporated, or any of its member institutions: Amherst College, Hampshire College, Mount Holyoke College, Smith College and the University of Massachusetts at Amherst.